საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4751/01
13/05/2021

4751-01-2-202105131100

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსს ბატონ **ნუგზარ წამალაშვილს**

ბატონო ნუგზარ,

თქვენი წერილის (#5/15785 23.03.2021) პასუხად, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლისში მდებარე 125 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #21/1355 10.05.2021) აღნიშნული ნაკვეთის ჩრდილოეთით ფიქსირდება 5 კმ. სიგრძის უსახელო სეზონური (შრობადი) მდინარე. ნაკვეთის სამხრეთით აღინიშნება 3.8 კმ. სიგრძის უსახელო მდინარე და 10 კმ. სიგრძის მდინარე წმინდაწყალი. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლებელია ვრცელდებოდეს წყალდაცვითი ზოლის მოთხოვნები. რომელშიც „წყლის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2.) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ" საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2. პ.4.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი.

"წყლის შესახებ" საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტით (მუხლი 3-4.) განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას.

პატივისცემით,

ოთარ შამუგია

მინისტრის მოადგილე